პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 21 ნოემბერი, 1942 წ. № 276 (6592). ფასი 15 კაპ.

F75 N458

გულდაჭრით გავაუმჯობესოთ პიონერული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი პატრიოტული აღმავლობით შეხვდა ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებას და 7 ნოემბრის ბრძანებას. საბჭოთა ადამიანები ფრონტზე და ზურგში კონკრეტული საქმეებით ასრულებენ დიდი ბელადის მიერ დასახულ ამოცანებს. ფრონტის დასახმარებლად ზურგის მუშაობა დღითი-დღე ძლიერდება. სოციალისტური სამშობლოს დაცვა და ვერაგი მტრის განადგურება მთელ საბჭოთა ხალხს ახალ-ახალ საგმირო საქმეებს შთააგონებს.

პიონერი ნორჩი პატრიოტია, მას მხურვალედ უყვარს სოციალისტური სამშობლო და სძულს მისი მტრები. თავის თავს პიონერი დაუღალავად ამზადებს სამშობლოს მამაც დამცველად. ლენინ-სტალინის დიადი საქმის ერთგული ნორჩი ლენინელი თავის ღირსებად სთვლის გახდეს კომკავშირელი. მან იცის, რომ ცოდნა მისთვის ისევე საჭიროა, როგორც იარაღი ბრძოლაში. იგი შრომისმოყვარეა, დისციპლინიანი და ამტანი. ოჯახისა და სკოლის სიამაყე, მაგალითის მაჩვენებელი ყველა ბავშვებისათვის.

გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში პიონერული ორგანიზაციების წინაშე ახალი სერიოზული ამოცანები წამოიჭრა. ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენება საწარმოებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ბავშვების აღზრდაზე. დედებს იმდენი დრო აღარა აქვთ ბავშვების მოსავლელად, რამდენიც მათ ომამდე ჰქონდათ. ეს გარემოება პირდაპირ აყენებს საკითხს კომკავშირუ-...

პიონერულ მუშაობაში უფრო მეტი გაქანება უნდა მიეცეს. საჭიროა კომკავშირის მასობრივი ღონისძიებების გატარებაში, როგორიც არის ლითონის შეგროვების კვირეული, სამკურნალო მცენარეთა შეგროვება, ლაშქრობა სისუფთავის დასაცავად და სხვ., ფართოდ ჩაებან პიონერული ორგანიზაციები.

პიონერები იზრდებიან ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. მათ ფართოდ უნდა გავაცნოთ სამამულო ომის გმირები, მოვაწყოთ მათთან წითელი არმიისა და წითელი ფლოტის წარმომადგენელთა შეხვედრები, მოვუთხროთ ჩვენი სამშობლოს გამოჩენილ მთავარსარდალთა შესახებ, იმ გმირულ ბრძოლაზე, რომელსაც საბჭოთა ხალხი აწარმოებს პირსისხლიანი ჰიტლერული ტირანიის გასანადგურებლად. ჩვენს ნორჩ თაობას ღრმად უნდა ჩავუნერგოთ სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი და უსაზღვრო სიძულვილი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისადმი.

შრომისადმი სიყვარულს თითოეული პიონერი უნდა იჩენდეს. სახლში და სკოლაში მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მისი ასაკის შესაფერი საქმე ყველგან არის. ეს პიონერს მუშაობას აჩვევს. კოლმეურნეობაში მან გადაჭარბებით უნდა შეასრულოს მოზარდთათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი. იგი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს დამკვრელური მასობრივი კამპანიების ჩატარებაში. თითოეულ პიონერს კონკრეტული დავალება უნდა ჰქონდეს მიცემული. უნდა მოეწყოს მათი შრომითი ნიმუშების ყოველწლიური გამოფენები...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 ნოემბრის დილის ცნობა

19 ნოემბრის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ერთ უბანზე მტრის ქვეითი ჯარი და ტანკები შემოიჭრნენ ორი ჩვენი ნაწილის შესაყარში. მებრძოლები უმცროს ლეიტენანტ კალინინის მეთაურობით ბრძოლაში ჩაებნენ მტერთან და სასტიკ შეტაკებაში გასწყვიტეს 170 ჰიტლერელი და მოსპეს გერმანელთა 5 ტანკი. მდგომარეობა ამ უბანზე აღდგენილ იქნა. ნაღმსატყორცნელებმა ლეიტენანტ ბეზდიდკოს მეთაურობით უკანასკნელ დღეებში მოსპეს გერმანელთა 4 სანაღმსატყორცნო ბატარეა, 2 ქვემეხი, 7 ავტომანქანა, რადიოსადგური და გასწყვიტეს მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით 6 ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს ავტოკოლონაზე, რომელსაც მტრის ჯარები მოჰყავდა და ფრონტის ხაზს უახლოვდებოდა. მოსპობილია მტრის 7 ავტომანქანა და რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. 6 ნაწილის მზვერავთა რაზმი ღამით მტრის ზურგში შევიდა და თავს დაესხა რუმინელთა ბატალიონს, რომელიც ერთ დასახლებულ პუნქტში იყო დაბანაკებული.

...ოპერაცია, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩვენმა ნაწილმა რამდენიმე დღის წინათ იერიში მიიტანა მტერზე და გერმანელები განდევნა ერთი დასახლებული პუნქტიდან. ჰიტლერელები იძულებული იყვნენ ბრძოლაში გამოეყვანათ დიდი ძალები. ჩვენმა მებრძოლებმა წარმატებით მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები და სამი დღის განმავლობაში მტრის 5.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. ამ ბრძოლაში მოსპობილია მტრის 11 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი, ჩახშობილია 19 საარტილერიო და 7 სანაღმსატყორცნო ბატარეის ცეცხლი. მას შემდეგ, რაც დაზვერვის ძირითადი ამოცანები შესრულებულ იქნა, ჩვენი ნაწილი, სარდლობის ბრძანებით, წინანდელ პოზიციებზე გადმოვიდა.

* * *

სმოლენსკის ოლქის ტერიტორიაზე მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 3 სარკინიგზო ეშელონი. დამტვრეულია 3 ორთქლმავალი, 23 ვაგონი, 8 პლატფორმა და 2 ცისტერნა საწვავიანად. საფრიდან პარტიზანებმა გასწყვიტეს 80 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

კურსკის ოლქის ქალაქ სოჯში ჰიტლერე-...

20 ნოემბრის საღამოს ცნობა

...

რაიონების ტრანსპორტმა ზამთარში უსაქმოდ და ორგანიზებულად უნდა იმუშაოს

...

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველოში

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ განიხილეს წინასწარი შედეგები სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა მაღალი მოსავლისათვის ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით და, შეჯიბრების პირობათა შესაბამისად, **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად** სცნეს შემდეგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებმაც ყველაზე წარმატებით ჩაატარეს მოსავლის აღება და, 1941 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაადიდეს საშემოდგომო სათესი ფართობები:

1. კალინინის ოლქი
2. მოსკოვის ოლქი
3. ლენინგრადის ოლქი
4. პრიმორიეს მხარე
5. ყაზახეთის სსრ
6. ნოვოსიბირსკის ოლქი
7. გორკის ოლქი
8. ირკუტსკის ოლქი
9. სვერდლოვსკის ოლქი
10. თურქმენეთის სსრ
11. ტაჯიკეთის სსრ.

ამ ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს, მინდვრის სამუშაოთა წარმატებით ჩატარებასთან ერთად, კარგი შედეგები აქვთ აგრეთვე კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების მხრივ.

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ აღნიშნეს აგრეთვე კარგი მუშაობა მოსავლის აღების ჩატარებისა და საშემოდგომო თესვის მხრივ შემდეგი ოლქებისა და რესპუბლიკებისა: სომხეთის სსრ, საქართველოს სსრ, ივანოვის ოლქისა, მოლოტოვის ოლქისა, კომის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ, ტულის ოლქისა, რიაზანის ოლქისა, იაროსლავლის ოლქისა, უზბეკეთის სსრ.

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ განიხილეს წინასწარი შედეგები სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის და, შეჯიბრების პირობათა შესაბამისად, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად სცნეს შემდეგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოგვცეს კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ:

რესპუბლიკები მხარეები და ოლქები	პირუტყვის სულადობა 1942 წ. 1-X-სთვის პროცენტობით 1942 წ. 1-I-თან შედარებით: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	ცხვარი და თხა	ღორი
ყაზახეთის სსრ	115.6	125,1	144,3
ივანოვის ოლქი	146.5	172,1	181,8
ჩუვაშეთის ასსრ	133,2	151,8	154,8
მარიეთის ასსრ	133.0	141.2	140,6
ტაჯიკეთის სსრ	129,7	125.7	102,7
იაროსლავლის ოლქი	128,0	150,5	155,6
გორკის ოლქი	127,1	139,2	155,9
უდმურტეთის ასსრ	121,2	141,7	134,4
მოლოტოვის ოლქი	119.0	136,6	132,0
ყირგიზეთის სსრ	118,2	120.2	112,1
პრიმორიეს მხარე	116,9	133,6	138.2

ამ ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა, მეცხოველეობის განვითარებაში კარგ შედეგებთან ერთად, წარმატებით ჩაატარეს მოსავლის აღება და გააფართოეს საშემოდგომო კულტურების ნათესი წელს.

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ აღნიშნეს აგრეთვე კარგი მუშაობა კალინინის, მოსკოვისა და ტულის ოლქებისა საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების მხრივ 1942 წლის სამ კვარტალში.

გეგმის შესრულება

ბათუმის რაიონის გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 15 ნოემბრისათვის 105 პროცენტით შეასრულა მანდარინის კრეფის გეგმა, მოკრეფილია 147.000 ცალი ნაყოფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 140.000 ცალისა. მანდარინის კრეფა გრძელდება.

გონიოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
დონდოლაძე

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელთა შეტევა ლიბიაში

ლონდონი, 20 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის კომუნიკე იუწყება, რომ გუშინ მე-8 არმია განაგრძობდა წინსვლას ბენგაზის ჩრდილოეთით და სამხრეთით. ინგლისის ჯარებმა მარტუბასა და სლონტას პუნქტებს შუა ხელთ იგდეს თუ მოსპეს მტრის 28 ტანკი, 24 ქვემეხი და 250 ავტომანქანა.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" ამტკიცებს, რომ რომმელი მალე უნდა შეჩერდეს და, ალბათ, ამისათვის ელ აგეილას აირჩევს. ძნელია იმის დაჯერება, რომ გერმანელებმა უბრძოლველად დასტოვონ ისეთი მნიშვნელოვანი ბაზა, როგორიც არის ტრიპოლი, და დაიხიონ ბიზერტისაკენ. ბიზერტა ჩრდილოეთ აფრიკის კამპანიის სტრატეგიული ცენტრია, და მოკავშირეთა ჯარები შეეცდებიან სასწრაფოდ დაიკავონ იგი. ამავე დროს შესაძლებელია, რომ ინგლის-ამერიკის მნიშვნელოვანმა ძალებმა შემოუარონ ბიზერტას და ნავსადგურ ტუნისს და უშუალოდ ტრიპოლისაკენ გაემართონ. მაგრამ ეს მანძილი მეტად დიდია, და მე-8 არმია ჯერ კიდევ 1.200 მილზეა მოკავშირეთა ჯარებიდან, რომელნიც ტუნისში მიიწევენ.

ბენგაზის ევაკუაცია

ლონდონი, 20 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გერმანიის რადიომ გამოაცხადა ბენგაზის ევაკუაცია.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 20 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის 1-ლი არმიის მოწინავე ნაწილებმა, მოკავშირეთა ჯარების საპარაშუტო რაზმებთან და საფრანგეთის იმ ჯარებთან ერთად, რომლებსაც გენერალი ჟირო მეთაურობს, გადალახეს ტუნისის საზღვა-... გამოცხადდა 1939 წელს გაწვევს სამხედრო ვალდებულთა საერთო მობილიზაცია.

გაზეთ „დეილი მეილის" კორესპონდენტი, რომელიც მოკავშირეთა ჯარების შტაბთან იმყოფება ჩრდილოეთ აფრიკაში, იუწყება, რომ ჰიტლერი ბომბდამშენთა და ავიაგამანადგურებელთა ახალ ესკადრილიებს ჰგზავნის ტუნისის იმ აეროდრომებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გერმანელთა განკარგულებაშია...

საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტებზე

მოქმედი არმია (ჩრდილოეთ კავკასია). სურათზე: საფარში მყოფი მებრძოლები, რომლებსაც ლეიტენანტი ვ. ე. ადამია მეთაურობს.

ფოტო მ. ალპერტისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მთების შვილები

ამ სათაურით 12 ნოემბრის „პრავდაში" ი. მაკარენკო მოგვითხრობს ქართველი სახელოვანი მებრძოლების თავდადებული სიმამაცის შესახებ შემდეგს:

„მთიელები ძველთაგანვე დახელოვნებულ მსროლელებად ითვლებიან. გერმანელებთან ბრძოლებში მთიელი სნაიპერები ზრდიან ამ სახელს. მათი თვალი გამჭრიახი და ზუსტია, ხოლო ტყვია—მომაკვდინებელი. მთებში მომხდარ ერთ-ერთ შეტაკებაში მეგრელმა სნაიპერმა ივანე **ჩაჩავამ** ხეებიდან ჩამოჰყარა რამდენიმე გერმანელი „გუგული", მაგრამ მტრის ერთი მეავტომატე მოუხელებელი იყო. იგი ხან ერთი მხრიდან ისროდა, ხან მეორიდან, ავტომატის ჯერები გაისმოდა ხან ტყეში, ხან მთებში. გერმანელი მეთაურებზე ნადირობდა. ჩაჩავამ „გუგულს" თვალთვალი დაუწყო. იგი უხმაუროდ მიდიოდა ტყე-ტყე, გადადიოდა კლდეებზე, ყურს უგდებდა შრიალს და მალე აღმოაჩინა გერმანელი მეავტომატე. გერმანელი არხეინად იჯდა მაღალ მუხაზე და, ხშირი ტოტებით შენიღბული, თავისი ავტომატით მოკლე ჯერებს ისროდა. ივანე ჩაჩავა ქვას ამოეფარა, დაუმიზნა და პირველივე სროლით ჩამოაგდო გერმანელი „მონადირე". სათვალავით იგი სნაიპერ ივანე ჩაჩავას მეთვრამეტე გერმანელი იყო.

ომის პირველივე დღეებიდან იბრძვის ბატარიის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, არტილერისტი ნესტორ მეგრელიშვილი. მეგრელიშვილმა თავისი ქვემეხები გერმანელებს პირველად მდინარე პრუტზე ესროლა. მას შემდეგ ამ ქვემეხებმა გაჟლიტეს უკვე არა ერთი ათასი ჯარისკაცი და მოსპეს ათეული ტანკი. მეგრელიშვილის ბატარიის არტილერისტები გმირულად იბრძვიან კავკასიის მთებში.

მთებში წარმოებულ ბრძოლებში მეგრელიშვილი მუდამ ხელმძღვანელობს სროლას. იგი გერმანელებს უხდის არა მარტო სიძულვილითა და ზიზღით, არამედ ლითონითაც, სისხლისაგან გაშმაგებულ მტრებს თავს ატეხს ასობით ყუმბარებს.

მამაცი არტილერისტი დაიბადა დასავლეთ საქართველოში. მის ოჯახში ახალგაზრდა მუხებივით იყრიდა ტანს და იზრდებოდა კიდევ ექვსი ძმა. მოხუცი ილია მეგრელიშვილი თავის შვილებს ზრდიდა როგორც მებაღე — სიყვარულით და მზრუნველობით. როდესაც ომი დაიწყო, მან ისინი დალოცა საგმირო საქმეებისათვის სამშობლოს სასახელოდ და დაავალა ულმობელად ეჟლიტათ მტრები. მოხდა ისე, რომ ძმებიდან სამ—ნესტორს, მირონსა და პოლიკარპეს მოუხდათ გერმანელებთან ბრძოლა მშობლიური კავკასიისათვის. და, ასრულებენ რა მამის დავალებას, ისინი გმირულად იცავენ მშობლიურ მთებს თავიანთი მკერდითა და სისხლით. მირონი და პოლიო იბრძვიან მოზდოკთან, ნესტორ—შავი ზღვის სანაპიროს მთებში. ძმები ერთმანეთს სწერენ წერილებს, რომლებშიც ურთიერთს ეკითხებიან: „როგორ ურტყამ გერმანელებს?..." და თითოეული მათგანი მუდამ უპასუხებს მეორეს: „ვურტყამ კარგად. მთელი ძალღონით დავიცავთ მშობლიურ კავკასიას და უკუვაგდებთ მძვინვარე მტერს".

ნაღმმტყორცნელები მთებში

მოქმედი არმია, 29 ოქტომბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელებმა შესძლეს დიდმნიშვნელოვანი მაღლობის დაკავება. მტერმა აქ თავი მოუყარა ერთ ბატალიონამდე სამთო მსროლელებს, დიდი რაოდენობით მოზიდა საომარი მასალები და სურსათი და ძლიერ გამაგრდა. ჩვენმა ქვეითმა ქვეგანაყოფმა რამდენჯერმე სცადა ბელო სიმაღლე, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ ჰქონია. N ქვეგანაყოფის ნაღმმტყორცნელებმა ღამით გერმანელთა პოზიციებს მთის ვიწრო ბილიკებით შემოუარეს და ერთ-ერთ მაღალ კლდეზე ავიდნენ. გრძელი თოკების დახმარებით მათ მაღლა აიტანეს ნაღმსატყორცნები და ნაღმები.

დილის ნისლი რომ გაიფანტა, ნაღმმტყორცნელების წინაშე გერმანელების მიერ დაკავებული მაღლობის მწვერვალი ისე გადაიშალა, თითქოს ხელის გულზეაო. საკმაოდ ფართო ტაფობზე ფაშისტებს ბევრით ბლინდაჟები, ბუნებრივ გამოქვაბულებში დაედგათ ტყვიამფრქვევები. ქვემოდან გერმანელები უვნებადი იყვნენ და ამიტომ ახლა გამოძვრნენ საფრებიდან და სასაუზმოდ ემზადებოდნენ.

გაისმა ბრძანება — „ცეცხლი!" უფროსმა სერჟანტმა ბარანოვმა დაუშინა ბლინდაჟს, სადაც, ყველა ნიშნის მიხედვით, სამეთაურო პუნქტი იმყოფებოდა. მეორე ნაღმით მიწური ჰაერში აიტყორცნა. უმცროსმა სერჟანტმა მიკიტინმა დასცხო საველე სამზარეულოსთან თავმოყრილ ჯარისკაცთა დიდ ჯგუფს. პირველი ზალპით თავზარდაცემულმა ფაშისტებმა ტაფობზე აქეთ-იქით დაიწყეს სირბილი. ნაღმები ზედიზედ ცვიოდა და ანგრევდა ბლინდაჟებსა და ტყვიამფრქვევთა ბუდეებს. ჰიტლერელები ქვემოთ გაექანნენ. მეიზნე ნიმტაკაძემ და კარატულაშვილმა სწრაფად შესცვალეს სამიზნე და ცეცხლი დაუშინეს გაქცეულებს.

ამ დროს მწვერვალზე ჩვენი ქვეითები აიჭრნენ. სამ კილომეტრზე მეტს სდიეს ჩვენმა მებრძოლებმა მტერს, ჟლეტდნენ მას შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით. მაღლობზე მათ ხელთ იგდეს დიდძალი სურსათი და საომარი მასალები.

ერთ-ერთ რაზმთან ერთად ფაშისტთა ზურგში მოექცა ლეიტენანტ პიგელის ნაღმსატყორცნთა ორი გუნდი. მალე მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ ხევის ფსკერით გერმანელები ყოველდღე ეზიდებოდნენ საომარ მასალებს. რაზმი ჩასაფრდა და განთიადისას მან მტრის ალალი მოსპო. გერმანელებმა აქ მეავტომატეთა ჯგუფი გამოგზავნეს. როდესაც მათ დაიწყეს ფერდობზე ასვლა იმ ვარაუდით, რომ გარს შემოერტყმოდნენ მცირე რაზმს, ნაღმმტყორცნელებმა მათ სროლა აუტეხეს და კიდევ 100-ზე მეტი გერმანელი გაჟლიტეს.

ჰიტლერელებმა დასაზვერავად მაკორექტირებელი თვითმფრინავი გამოგზავნეს, მაგრამ ნაღმმტყორცნელები სწრაფად იცვლიდნენ საცეცხლე პოზიციებს და თვითმფრინავმა ისინი ვერ აღმოაჩინა.

„ტრუდ", 30/X.

ორდენოსანი პოდპოლკოვნიკი გ. ჩიტაიშვილი

ორდენოსანი მფრინავი პოდპოლკოვნიკი გრიგოლ იოსების-ძე ჩიტაიშვილი სამამულო ომის სახელოვანი მონაწილეა.

ჯერ კიდევ თეთრფინელებთან ბრძოლაში იგი, მაშინ მაიორი, თავგანწირულად იბრძოდა ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. თეთრფინელების წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა მედლით „მამაცობისათვის".

დიდი სამამულო ომის გამოცხადებისთანავე კომუნისტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი გ. ი. ჩიტაიშვილი ბრძოლაშია და თავდადებულად იბრძვის გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მან რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა შორეულ გადაფრენებში გერმანიის დიდი ქალაქების და სამხედრო ობიექტების დასაბომბავად. „ბევრჯერ დამდევნებიან ფაშისტი სვავები, მაგრამ ყოველთვის მოხერხებულად შემისრულებია საბრძოლო დავალება", — სწერდა იგი ერთ-ერთ წერილში თავის დედას სოფ. შემოქმედში.

მის სახელოვან ბრძოლებზე „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ყარა-მურზა მოქმედი არმიიდან რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილში შემდეგს მოგვითხრობს:

„შორბომბდამშენი ავიაციის № ნაწილში გმირულად იბრძვის პოდპოლკოვნიკი გრიგოლ იოსების-ძე ჩიტაიშვილი ქალაქ მახარაძიდან. მამაცი მეომრის მკერდს ამშვენებს წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის". ჩიტაიშვილს ნაწილში იცნობენ როგორც საუცხოო შტურმანს, რომელიც სრულყოფილად არის დაუფლებული თვითმფრინავების წაყვანის ოსტატობას ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში. ბრმად ფრენის ბრწყინვალე ოსტატს, მას ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა დანციგის, კენიგსბერგის და მტრის ზურგის სხვა სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო ობიექტების დაბომბვაში.

თქვენი კორესპონდენტი ამხ. ჩიტაიშვილს გაეცნო აეროდრომზე ნოემბრის ბნელი ღამით, როდესაც მძიმე ბომბდამშენი გასაფრენად ემზადებოდა. თავისი გაფრენების შესახებ ჩიტაიშვილმა მას უამბო შემდეგი:

„ჩვენს ეკიპაჟს ნაბრძანები ჰქონდა დაებომბა ქალაქ დანციგის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მნიშვნელოვანი სამხედრო-სამრეწველო ობიექტი. ძალიან ცუდი ამინდი დაგვიდგა. უკუნეთი ღამე იყო. მთელ გზას მივფრინავდით სქელ, მრავალფენოვან ღრუბლებში. თვითმფრინავი ზუსტად მიმყავდა კურსით. დანციგის თავზე ორმოცმა პროჟექტორმა აღმოგვაჩინა. საზენიტო არტილერია გააფთრებით გვიშენდა. ყუმბარები ჯგუფად სკდებოდა და ჩვენს გარშემო ცეცხლისა და ლითონის მთლიან რკალს ჰქმნიდა. მაგრამ საბჭოთა მფრინავების შეჩერება არაფერს არ შეეძლო. მე გავემართე საბრძოლო კურსით და რამდენიმე წამის შემდეგ დამშვიდებით ჩამოვყარე ბომბების სერია. მათ რამდენიმე ძლიერი აფეთქება და ოთხი დიდი ხანძარი გამოიწვიეს.

კენიგსბერგში გაფრენა,—განაგრძო ჩიტაიშვილმა, — კიდევ უფრო რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. მთელი გზა ვიარეთ სქელ ღრუბლებში, ჰექა-ქუხილში, რასაც თან ერთვოდა ძლიერი წვიმა, მაგრამ მალე აღმოვჩნდით მიზანთან. პირველსავე შემოვლაზე ბომბების მთელი ტვირთი დავაყარეთ ნავსადგურს, ნავსადგურის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო საწყობებს. ჩვენმა ბომბებმა უდიდესი ხანძრები გამოიწვიეს. კენიგსბერგიდან უკვე შორს ვუყავით, ხანძრების ალი კი კვლავ მძვინვარებდა და ნავსადგურის უზარმაზარ ტერიტორიას აშუქებდა".

საუბრის დამთავრების ცოტა ხნის შემდეგ ჩიტაიშვილი პროჟექტორების თვალისმომჭრელ სხივებში კიბით ავიდა თავის კაბინში. რამდენიმე წუთის შემდეგ მისი თვითმფრინავი მიწას მოსწყდა და დასავლეთისაკენ გაემართა".

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მფრინავი პოდპოლკოვნიკი გრიგოლ იოსების-ძე **ჩიტაიშვილი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

— თქვენი ძმა გრიშასაგან გვჯეროდეთ, რომ იგი დაბრუნდება გამარჯვებული და მხოლოდ სასახელოდ,—სწერდა იგი ამას წინათ ქ. მახარაძეში დასა და სიძეს, მთავრობის მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული.

ამხ. გ. ი. ჩიტაიშვილი დაიბადა 1908 წელს სოფ. შემოქმედში (მახარაძის რაიონი). ჭაბუკობის წლები ქ. მახარაძეში გაატარა, სადაც საშუალო სასწავლებელში სწავლობდა. 1926 წელს იგი სამხედრო სასწავლებელში შედის და ამთავრებს 1929 წელს. შემდეგ სწავლას აგრძელებს ერთ-ერთ სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში, რომელსაც აგრეთვე წარმატებით ამთავრებს.

სახელოვანი მფრინავი პოდპოლკოვნიკი გ. ჩიტაიშვილი, მშობლიურ წითელ არმიაში აღზრდილი და დავაჟკაცებული, დიდ სამამულო ომში პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ლ. ლოლაძე

ხიშტით ბრძოლის ოსტატი

მსროლელთა ასეულმა მიიღო ბრძანება გადასულიყო კონტრიერიშზე და გაედევნა გერმანელები დაკავებული პოზიციიდან.

გაიმართა მძაფრი ხელჩართული ბრძოლა. რიცხვობრივი უპირატესობა მტრის მხარეზე იყო. წითელარმიელ **ლვინიაშვილს** თავს დაესხა ოთხი ჰიტლერელი. მებრძოლი არ შედრკა. ის მარჯვედ მოქმედებდა ხიშტითა და კონდახით. სამი ფაშისტი მკვდარი დაეცა მის წინ. მეოთხე ეძგერა ლვინიაშვილს და ცდილობდა ხიშტი ჩაეცა მისთვის. ჩვენმა მებრძოლმა აიცდინა მტრის ხიშტი და ძლიერი დარტყმით მოჰკლა ისიც.

გერმანელებმა ვერ გაუძლეს შეტაკებას და მოჰკურცხლეს.

ა. აბასოვი

(№ წითელარმიული გაზეთი).

ნალჩიკის რაიონი. თანახმად ბრძანებისა „ცეცხლი", ქვეგანაყოფმა, რომელსაც უფროსი სერჟანტი ვანო ლვაბერიძე მეთაურობს, სროლა აუტეხა მტერს.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენცია ლონდონში

ლონდონი, 17 ნოემბერი (საქდესი). ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 14 ნოემბერს გაიხსნა ლონდონში, განიხილეს საკითხი გაერთიანებული ერების შეტევის განვითარების აუცილებლობასთან დაკავშირებით ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ. მეორე დღეს განხილულ იქნა საკითხი მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობისა და ამ მოწყობაში ახალგაზრდობის როლის შესახებ. შექმნილია სხვადასხვა კომისიები, რომლებიც განიხილავენ მოხსენებათა პროექტებს, რაც კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა შეიმუშავა.

მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საკითხზე გამართულ კამათში სიტყვა წარმოსთქვა ბეჭდის მცველმა ლორდმა და თემთა პალატის ლიდერმა სტაფორდ კრიპსმა. მან განაცხადა, რომ წამოყენებულია სამი გზა იმისათვის, რომ ევროპა უზრუნველყოფილ იქნას მომავალში ჰიტლერული აგრესიის განმეორების შესაძლებლობისაგან. ერთნი მოითხოვენ, დაყოფილ იქნას გერმანია მთელ რიგ პატარ-პატარა სახელმწიფოებად, მაგრამ კრიპსის აზრით, ამას შეუძლია გამოიწვიოს ახალი მოძრაობა გერმანიის გაერთიანებისათვის. მეორენი მოითხოვენ, რომ გერმანიის მძიმე მრეწველობა, რურის ოლქში კონცენტრირებული, მოქცეულ იქნას საერთაშორისო კონტროლქვეშ, რათა იგი გერმანელთა ოკუპაციისაგან დაზარალებული ქვეყნების აღსადგენად მუშაობდეს. მესამენი მოითხოვენ, განჯგუფებულ იქნას გერმანიის მრეწველობა მისი გერმანიის მეზობელ ქვეყნებში გადატანის გზით, რათა ხელი შეეშალოს ჰიტლერელთა იმ კონცეფციის განხორციელებას, რომლის მიხედვითაც მთელი სამრეწველო და სამხედრო ძლიერება თავმოყრილი უნდა იყოს გერმანიის ტერიტორიაზე. ეს და სხვა წინადადებანი,—სთქვა კრიპსმა,—განხილულ უნდა იქნას გაერთიანებული ქვეყნების მიერ. მაგრამ ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ მოვსპოთ ჰიტლერელთა ძალაუფლება და გერმანული სამხედრო მანქანა, დავსაჯოთ დამნაშავენი და ვაიძულოთ [illegible] ანაზღაურონ მის მიერ სხვა ქვეყნებისათვის მიყენებული ზარალი.

კონფერენციის მიწვევით მის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის ელჩმა ამხ. მაისკიმ.

„აფრიკაში წარმოებული საომარი ოპერაციები,—სთქვა მან,—ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ იმ მეორე ფრონტს, რომელზეც, როგორც ჰიტლერული გერმანიის განადგურების საუკეთესო მეთოდზე, ფიქრობს საბჭოთა ხალხი. მაგრამ ეს ოპერაციები წარმოადგენენ მეორე ფრონტის შექმნის წინაპირობას და მნიშვნელოვნად უნდა დააჩქარონ მისი განხორციელება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ მოკავშირეთა წარმატებებს ჩრდილოეთ აფრიკაში და ვუსურვოთ მათ აქ სრული და საბოლოო გამარჯვება".

კონფერენციაზე მიღებულ იქნა მოწოდება მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი. მოწოდებაში გამოთქმულია თანაგრძნობა საბჭოთა ხალხისადმი, რომელსაც მხრებზე აწევს ნაცისტურ სამხედრო მანქანასთან ბრძოლის მთავარი სიმძიმე.

კონფერენციაზე წაიკითხეს ახალგაზრდობის ქარტია, აგრეთვე ჯარისკაცებისა, მუშებისა და სტუდენტებისადმი მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: „შეტევა არ უნდა განისაზღვროს ჩრდილოეთ აფრიკაში ოპერაციების წარმატებით დამთავრებით. ეს შეტევა ჩვენ ევროპის კონტინენტზე უნდა გადავიტანოთ და იქით მივმართოთ დარტყმა, სადაც იგი ყველაზე უფრო საგრძნობი იქნება. მხოლოდ ასეთი გზით დავეხმარებით ჩვენს საბჭოთა მოკავშირეებს. მხოლოდ ასეთი გზით გავათავისუფლებთ ოკუპირებულ ქვეყნებს ჰიტლერული ტირანიისაგან".

კონფერენციაზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენეშმა, კრიპსმა და ამერიკის ელჩმა ვაინანტმა.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას ახალგაზრდობის საერთაშორისო საბჭო, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოწოდებაში ჩამოთვლილ წინადადებათა განხორციელებას.

გერმანიაში აღშფოთებული არიან ჰიტლერელთა ბანდის ბოროტმოქმედებებით

სტოკჰოლმი, 18 ნოემბერი (საქდესი). ჰიტლერული გაზეთი „ვესტ დოიჩე ბეობახტერი" იუწყება, რომ „რედაქციას მოსდის მრავალი ანონიმური წერილი, სადაც წამოყენებულია ისეთი საკითხები, რომლებზეც ფიქრი ახლა შეუწყნარებელია. ამ წერილებში სხვა ადამიანებზე ლაპარაკია ისეთი სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ უზრდელ სუბიექტებს სჩვევიათ. ეს წერილები სავსეა სხვადასხვა შეურაცხყოფით, რომლის აღვირახსნილობას პათოლოგიური ხასიათი აქვს. უკანასკნელ ხანს არა მარტო ჩვენ ვიტანჯებით ამ წერილებისაგან, რომელთა მიზანია სხვა პირთა წყენინება, არამედ ბევრი დაწესებულებაც ხშირად ჩივის—ანონიმური წერილები მოგვდისო".

გაზეთი ვერ მალავს, რომ ის პირები, „რომლებსაც აშავებენ ამ წერილებში და ბრალად სდებენ სხვადასხვა დანაშაულს", ჰიტლერული გერმანიის უმაღლეს წრეებს ეკუთვნიან. გაზეთი ღვარძლიანად აფრთხილებს წერილების ავტორებს, რომ დაუსჯელობის იმედი ნუ ექნებათ—„სულერთია მათ იპოვიან".

შეშფოთებული განწყობილება იტალიაში

ჟენევა, 20 ნოემბერი (საქდესი). იტალიის ხელმძღვანელ წრეებში მატულობს ნერვიულობა ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა ჯარების ოპერაციებთან დაკავშირებით. იტალიის ზოგიერთი გაზეთი უნებურად ამჟღავნებს ამ ქვეყანაში არსებულ უკმაყოფილებას გერმანელთა უკანასკნელი ღონისძიებებით, რომლებმაც იტალიის სამხედრო პოტენციალის აშკარა დასუსტება გამოიწვიეს. ამ გაზეთების ცნობებით, იტალიის მრეწველობის ეგრეთწოდებული რაციონალიზაცია გრძელდება. მუშახელის, ნედლეულისა და სათბობის ნაკლებობის გამო ყოველ კვირაში იხურება ათობით საწარმოები, რომლებიც შინაური ბაზრისათვის მუშაობენ. დარჩენილი საწარმონი ძირითადად გერმანიის შეკვეთებს ასრულებენ. მუშახელი პირველ რიგში ამ საწარმოებში იგზავნება.

გერმანიამ სრული კონტროლი დააწესა იტალიის სოფლის მეურნეობაზეც. გაზეთ „სტამპას" სიტყვით, „წელს იტალიაში თესვა იმ ვარაუდით სწარმოებდა, რომ გერმანიასთან გაცვლა-გამოცვლა გაძლიერდეს". გერმანიის წარმომადგენლებთან ერთად შემუშავებულ იქნა ნათესი ფართობების გადიდების გეგმა. იტალიიდან გერმანიაში სურსათის გაზიდვა მომავალ წელს 10 მილიონი ცენტნერით უნდა გადიდდეს წლევანდელთან შედარებით. იტალიის მიერ გერმანიისათვის ვაჭრობით მიწოდება მოხდება შინამოხმარების ახალი შეზღუდვისა და შემცირების ხარჯზე.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ იტალიაში შეიქმნა ახალი სატრანსპორტო სიძნელეები, რაც იმით არის გამოწვეული, რომ რკინიგზები დატვირთულია გერმანიაში გასაზიდი საქონლით. ჩრდილოეთ იტალიის არც ერთ დიდ ქალაქს დღემდე სათბობი არ მოუმარაგებია ზამთრისათვის. ქალაქებში სურსათის შეზიდვის შეფერხებანი საერთო მოვლენა გახდა.

ამერიკის ცნობები იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზარალის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი (საქდესი). ოფიციალური ცნობის თანახმად, წყნარი ოკეანის ომის დაწყებიდან (1941 წლის 7 დეკემბერი) იაპონიის ფლოტის საერთო ზარალი შეადგენს 243 გემს, მათ შორის 2 სახაზო გემს, 6 ავიანოსანს, 21 კრეისერს, 39 საესკადრო ნაღმოსანს, 7 წყალქვეშა ნავს, 51 ტრანსპორტს. ამავე პერიოდში შეერთებულმა შტატებმა დაჰკარგეს 60 გემი, მათ შორის ერთი სახაზო გემი, 4 ავიანოსანი, 6 კრეისერი, 21 საესკადრო ნაღმოსანი, 4 წყალქვეშა ნავი და 4 ტრანსპორტი.

გარდა ამისა, ფიქრობენ, რომ იაპონელთა 259 გემი დაზიანებულია.

პაპენზე „თავდასხმის" საქმის გამო

ანკარა, 18 ნოემბერი (საქდესი). თურქეთის საკასაციო სასამართლომ გააუქმა განაჩენი პაპენზე ეგრეთწოდებული თავდასხმის საქმის გამო და ეს საქმე ხელახლა გასარჩევად გაუგზავნა ანკარის სისხლის სამართლის სასამართლოს წინანდელ შემადგენლობას. ამ სასამართლოში საქმის განხილვის განახლებისას საბჭოთა მოქალაქეებმა პავლოვმა და კორნილოვმა აცილება მისცეს სასამართლოს შემადგენლობას, აგრეთვე პროკურორის თანაშემწეს ქემალ ბორას, აღნიშნეს რა სასამართლოს მიერ დაშვებული საპროცესო ნორმების ის მრავალრიცხოვანი დარღვევა, რაც წინ უძღოდა დაუსაბუთებელი და ამჟამად გაუქმებული განაჩენის გამოტანას. ანკარის სასამართლომ საკითხი ამ აცილების შესახებ განსახილველად გადასცა ანკარის მახლობლად მდებარე ქალაქ კესკინეს სისხლის სამართლის სასამართლოს. კესკინეს სასამართლომ თხოვნა აცილების შესახებ არ მიიღო და განაცხადა, უფლებამოსილი არა ვარ გავარჩიო პავლოვისა და კორნილოვის მიერ მოყვანილი აცილების მოტივებიო. კესკინეს სასამართლოს გადაწყვეტილება თავის მხრივ გასაჩივრებულ იქნა პავლოვისა და კორნილოვის მიერ. დღეს ანკარის სისხლის სამართლის სასამართლომ გამოაცხადა, რომ ეს საჩივარი განსახილველად გადაეცა ახლომდებარე ქალაქ ჩანკარის სასამართლოს, რასთან დაკავშირებითაც ანკარის სასამართლომ საქმის განხილვა 25 ნოემბრამდე გადასდო.

ა. ფ. პოლიაკოვი

ერთი ქვემეხის ისტორია*

— იცით რა, მეგობრებო, ომი რომ დამთავრდება, მაშინ მე მომეცით ეს ზარბაზანი. კავკასიაში წავიღებ მას, ჩემს სკოლაში, ჰა?!..

ეს სთქვა შალვა ბიბილაშვილმა—ქვემეხის მეთაურმა, ქართული სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა. იგი შუა ტანისაა, ჩასკვნილი, ატლეტის გარეგნობით. სამხრეთელის ტიპიური სახე აქვს, წარმატებით რომ შეუნარჩუნებია კრემის ფერი კალინინის ჭაობებში. ახლა ეს სახე მომღიმარე იყო, ხოლო შუბლი ნაოჭებით დაღარული. ბიბილაშვილი ჭაობის კოლბოხზე იჯდა, წვიმისაგან დასველებული, სიყვარულით უცქეროდა თავის ზარბაზანს და ეუბნებოდა თავის ამხანაგებს — არტილერისტებს:

— მენანება, აი, ალბათ არ მომცემენ... რა კარგი საკლასო ხელსაწყო იქნებოდა ომის ისტორიის გაკვეთილებისათვის..

და მართლაც, სწორედ ამ ქვემეხისათვის—ყარევის პოლკის მეოთხე ბატარიის პირველი ქვემეხისათვის, უზრუნველყოფილია ომის შემდეგ საპატიო ადგილი არა ბიბილაშვილის კლასში, არამედ იარაღის რომელიმე დიდ საკავშირო გამოფენაზე.

ეს ქვემეხი პოლკში ყველაზე ზუსტად, ყველაზე ინტენსიურად ისვრის და ასეთი გახდა გუნდის მჩქეფარე ენერგიისა და უნარის, მეოხებით. ლურჯ ყდის წიგნაკში ბიბილაშვილი სწერს თავისი ზარბაზნის საბრძოლო ისტორიას, გულმოდგინედ იწერს მის მიერ განვლილ გზასაც, გასროლათა რაოდენობასაც და მოპოვებულ გამარჯვებებსაც.

გუნდის ხელში ეს ზარბაზანი პირველად შარშან მოხვდა. მას შემდეგ მისი უცვლელი მეთაურია ბიბილაშვილი. ომის პირველი დღეებიდანვე ზარბაზანი ფრონტზე წავიდა და ველიჟში სმოლენსკთან უშენდა გერმანელებს. მას შემდეგ იგი გარემოცვაშიც მოხვდა, მშვიდობით დააღწია თავი გარემოცვას. მონაწილეობას იღებდა მოსკოვთან გერმანელების განადგურებაში, ქალაქ კალინინის განთავისუფლებაში და აი უკვე უშენს მტერს აქ, უკანასკნელ ბრძოლებში რჟევთან.

ბატარიის მეთაურია 25 წლის კაპიტანი, უკრაინელი, გვარად დუბინა. მას მეტად უყვარს თავისი პირველი ქვემეხი და მისი მეთაური შალვა ბიბილაშვილი.

— ეს ზარბაზანი ბუნების სასწაულია! ხოლო მასში მთავარი რა არის, იცით? მისი მეთაურის თავი!..

ყოველდღე ვხვდებით დუბინას სათვალთვალო პუნქტზე.

— მტრის ბლინდაჟს! — ხმამაღლა და მკაფიოდ იძახის ახალგაზრდა კაპიტანი.

და განკარგულება, რომელსაც იმავე წამს აიტაცებს მეთაურისაგან ტელეფონისტი, იმავე ინტონაციით მიჰქრის საცეცხლე პოზიციაზე:

— გრანატით!—განაგრძობს დუბინა.

— გრანატით! — თითქმის იმავდროულად იმეორებს ტელეფონისტი.

და ასე მიდის სრული განკარგულება დამამთავრებელ შეძახილამდე — „ცეცხლი!"

— გასროლა!—იუწყება ტელეფონისტი იმას, რაც საცეცხლე პოზიციიდან გადმოსცეს.

გასროლას მეთაური ჯერ არც ესმის, ჰაერში ხმა რამდენიმე წამის შემდეგ მოაღწევს — ბატარია ოთხი კილომეტრის მანძილზეა უკან. ხოლო მიზანზე მიპყრობილია ნერვებდაძაბული მეთაურის სმენაც და ხედვაც. კუთხსაზომის დანაყოფების მიხედვით უნდა შეაფასოს, რამდენად აშორდა ყუმბარა მიზანს. სანამ თვალის წინ ჯერ კიდევ კვამლის სვეტი დგას, უნდა მიხვდეს, გადასცდა ყუმბარა თუ ვერ მიაღწია. აფეთქებამ მიზანი თვალიდან დაჰფარა—ყუმბარას ვერ მიუღწევია, მაშასადამე, კორას უნდა წაუმატოს, ქვემეხი ცოტა მაღლა უნდა ასწიოს.

... წვიმდა. დუბინა გაცხოველებით განაგრძობდა განკარგულებებს თავის სათვალთვალო პუნქტზე, დროგამოშვებით ოდნავ იიმაღლებდა ხმას ხან მზვერავების, ხან ტოპოგრაფების ან მეკავშირეების მიმართ—მაშასადამე, ვილაც საკმაოდ მკვირცხლად ვერ მოქმედებდა. დუბინა ხეზე ჯამაგრებული თავისი ბოგიდან მტკიცედ დირიჟორობდა მძიმე ბატარიის ცეცხლს.

გეგმიანი თუ უგეგმო სროლის დაწყებისას მონაცემების მომზადებისათვის სარდლის მიერ დაწესებული შეზღუდული დრო ბატარიამ თითქმის სანახევროდ შეამცირა.

— ბატარია მზად არის!—ჩვეულებრივად პირველი გაისმის დივიზიონის მეთაურის მილში დუბინას მოხსენება.

... საღამოს კაპიტანის სათვალთვალო პუნქტზე თვითონ პოლკის მეთაური ყიგარევი მოვიდა. მან კაპიტანს უთხრა:

— ამ ოთხეულმა საკმაოდ მოგვაბეზრა თავი ჩვენც და ჩვენს მეზობლებსაც. თქვენ გესმით, ვის შესახებაც ვლაპარაკობ?

— გერმანელთა ოთხქვემეხიანი ბატარიის შესახებ.

— სწორია! ჩვენ მასზე უკვე არა ერთი ათეული ყუმბარა დავხარჯეთ, ის კი ჯერ ცოცხალი და უვნებელია და მოქმედებას განაგრძობს...

— დიახ, ამხანაგო მაიორო, მაგრამ თქვენი ბგერდამჭერებიც და ჩვენც ხომ ყოველთვის ვინიშნავთ მის ადგილმდებარეობას და მხოლოდ ამ მონაცემებით ვიწყებთ სროლას.

— ცუდი მონაცემებია! პირველკლასელთა ანალიტიკაა და არა მოზრდილი არტილერისტებისა, — გაჯავრებით მიუგო მაიორმა. — სულელებად კი ნუ სთვლით მათ. ჯერჯერობით ისინი წარმატებით გვატყუებენ ყველას და ჩვენს ბგერდამჭერებსაც. მთელ ღამეს დემონსტრატიულად გვიშენენ ერთი ქვემეხით, და ჩვენ სიხარულით ვინიშნავთ მის ადგილმდებარეობას. ამასობაში კი სამი დანარჩენი ქვემეხი დილისათვის უკვე ახალ საცეცხლე პოზიციაზე დგება, მათთანვე გადადის მეოთხეც. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ ვურტყათ ცარიელ, მაგრამ „მონიშნულ" ადგილს... მოკლედ რომ ვთქვათ ამაღამ რაც შეიძლება ახლოს მიაღწიე გერმანელებთან. ხვალ დილიდან, ოთხეული სროლას აგვიტეხს თუ არა, სროლით გამიზნე იგი ისე სწრაფად, როგორც შენ იცი,—ეს ბიბილაშვილს დაავალე,—ჩვენ კი შენი მონაცემების მიხედვით მთელი პოლკი ერთბაშად დავცხებთ.

— ამოცანა გარკვეულია. ვიწყებ მის შესრულებას,—რამდენიმე დამატებითი კითხვის შემდეგ განუცხადა მაიორს დუბინამ.

ხდება პატარა თათბირი უახლოეს თანაშემწეებთან—ლეიტენანტებთან ხლემენჩუკთან და პეჩორსკისთან. ბიბილაშვილსაც გამოუძახეს.

... ჯერ კიდევ ბნელა, მაგრამ გარიჟრაჟი უკვე მოახლოებულია. კაპიტან დუბინას ბატარიის საცეცხლე პოზიციაზე ყველაფერი მზად არის საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.

ლეიტენანტმა ფედორენკომ, რომელიც ბატარიაში უფროსია, უკვე რამდენჯერმე ჩამოუარა ქვემეხებს, თვითონ აკვირდება პანორამებს.

— დანაყოფებს ხომ კარგად ხედავთ? — ცალცალკე ეკითხება იგი მეიზნეებს სმეტანინს, დავიდენკოს, შმატკოს.

— საუცხოოდ!—ისმის პასუხი.

ბიბილაშვილის პირველი ქვემეხის გუნდს—სმეტანინს, ლოცანს, პეტუხოვს, კრივცოვს, ჩიჯუნოვს, ტეპლოვს. პლეტნიოვს—დინჯად, მაგრამ მეტად ფხიზლად უჭირავს თავი. ყველანი მზად არიან ყუმბარის ცარიელი ყუთებიდან წამოიშალონ და ერთ წამში თავიანთი ადგილები დაიკავონ. შალვა ბიბილაშვილი ერთი მებრძოლიდან მეორესთან გადადის და აღგზნებულად ეუბნება:

— დღეს ჩვენი დღესასწაულია. აბა თქვენ იცით, საუკეთესოდ უნდა გვეუმასპინძლდეთ—აღმოსავლური სტუმართმოყვარეობის კანონების მიხედვით. პირველი ყუმბარა თბილისის შოთა რუსთაველის პროსპექტის სახელობისაა... იცით ასეთი ქუჩა?

მებრძოლები კმაყოფილად იცინოდნენ.

... სადღაც შორს მტრის მხარეზე ყრუდ დაიგრუხუნა მძიმე ბატარიამ.

— ქვემეხებთან!—გაისმა ბოლოს განკარგულება. რომელსაც დიდი ხანია ელოდნენ. და ყველამ მიაშურა ქვემეხებს, ერთ მთლიან მრისხანე მასად შეეზარდა მათ.

— მტრის ბატარიას!..

— ... ესროლოს პირველმა!..

პირველი ქვემეხის მეიზნე სმეტანინმა მყისვე დასჭიმა ზონარი. მოკლე პაუზა, და შემდეგ მკვეთრი განკარგულება—„ცეცხლი!"

გასროლამ ირგვლივ ყველაფერი შეაზანზარა—ქვემეხის ყველაზე ადრეულმა გასროლამ ჩვენი პოზიციების რაიონში. მესაკეტე ლოცანმა მარჯვედ გამოგლიჯა მის მიერ გაღებული ლულიდან ცხელი დაცლილი ჰილზი. ჰილზი ლაფეტს დაეცა, სველ ბალახზე შიშინით დაგორდა და ორთქლის ბოლქვები დააყენა. რა მარჯვეა დამმუხტავი პეტუხოვი! ნამდვილი ატლეტია. ერთი გაქანებით წამოავლო ხელი მორიგ მძიმე ყუმბარას და განკარგულების მოლოდინში ისე ატრიალებდა მას ხელში, როგორც კატის კნუტს.

ბიბილაშვილი უკვე ღებულობს შესწორებებს და სათანადო განკარგულებას იძლევა. მებრძოლები მარდად მუშაობენ, და შეჩვეული თვალისთვისაც კი ძნელია მკაფიოდ შეამჩნიოს ყველა მათი მოძრაობა. გაუგებარია, როდის მოასწრო ქვემეხის დამიზნება სმეტანინმა, უკვე მოათავსა მორიგი „კიტრი" ზარბაზნის ლულაში პეტუხოვმა, მხოლოდ დახურული საკეტის ჭახანით ირკვევა, რომ ყველაფერი მზად არის.

— პირველი მზადაა!—შესძახა ქვემეხის მეთაურმა.

— ცეცხლი!

მეორე გასროლა, მას მოჰყვა მესამე, მეოთხე, მეხუთე. მაგრამ აი ფედორენკო, ზარბაზნების ფრონტისაკენ მიბრუნებული, უკვე იძახის:

— ბატარია, ზალპით, ცეცხლი!

სამმა მძიმე ლულამ ერთხმად დაიქუხა. მესამე ზალპის შემდეგ ბატარიის ტელეფონისტმა როგორც გაიგონა, ისევე სიტყვა-სიტყვით და განსაკუთრებული დაძაბულობით გაიმეორა: „გადაეცით საბრძოლო გუნდებს: ყველა ქვემეხი კარგად ურტყამს. განსაკუთრებული მადლობა ბიბილაშვილს. განვაგრძობთ სროლას!" ეს იყო კაპიტან დუბინას სიტყვები, რაც მან სათვალთვალო პუნქტიდან გადმოსცა.

ბატარიის შემდგომი ზალპები უკვე პოლკის ყველა ქვემეხის მიერ დაწყებულ საერთო კანონადას უერთდებოდა. ამან სულ სამ-ოთხ წუთს გასტანა.

— სდექ, ჩასწერეთ დანადგარები!—გაისმა უკანასკნელი განკარგულება.

ერთი საათის შემდეგ ზუსტად გაიგეს: მტრის ოთხქვემეხიანი ბატარია მოსპობილი იყო.

— იყო ბატარია და აღარ არის,—სთქვა სახეგაბრწყინვებულმა შალვა ბიბილაშვილმა.

(„პრავდა", 12/XI).

*) ნაწყვეტი ა. ფ. პოლიაკოვის ნარკვევიდან „რჟევთან".

ლექციები და მოხსენებები

22 ნოემბერს, დღის 1 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება დოცენტ ვ. პაპავას ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ომიანობის პირობებში".

შესვლა თავისუფალია.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან, ოქტომბერი — „სიმღერა სიყვარულზე", **დამკვრელი**—„გიორგი სააკაძე", **კომკავშირელი**—„კორზინკინას თავგადასავალი" და „საქართველოს XI-XII საუკუნეების ძეგლები", **სპარტაკი**—„დიდი ვალსი", **ლუქსემბურგის სახ.**—„ვოლგა-ვოლგა", **კომინტერნი** — „სამი ამხანაგი".

თეატრებში

22 ნოემბერს: სახოპერა — დღისით — „ქეთო და კოტე", საღამოს—„ჰოფმანის ზღაპრები". **რუსთაველის სახელობის**—დღისით და საღამოს—„ოლეკო დუნდიჩ". **მარჯანიშვილის სახელობის**—დღისით და საღამოს—„პარტიზანები". **გრიბოედოვის სახელობის**—დღისით და საღამოს—„ინჟინერი სერგეევი". **სომხური თეატრი**—დღისით და საღამოს—„აღმოსავლეთის დანტისტი". **აბუნდოვის სახელობის**—დღისით და საღამოს—„ფახრად და შირინი". **მუსიკალური კომედიის**—დღისით და საღამოს—„არშინ-მალ-ალან". **სანკულტურის** — „ვერბიცკის ცდები". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—დღისით—„ბროლის სასახლე", საღამოს—„შეროსძიება"

პასუხისმგებელი რედაქტორი

ვ. ხატიაშვილი

თბილისის პირველი საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან ელიკო მინდოდაურის დაწყნულის

შოთა ნიკოლოზის-ძე ქუმსიაშვილის

გარდაცვალებას. 1499

საბურთალოს საკოლმეურნეო ბაზრის კოლექტივი იუწყება თბილვაჭრობის განყოფილების გამგის ნატალია კულიჯანოვას ძმის

ქრისტეფორე კულიჯანოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/XI, 6 ს. ჯავახიშვილის შესახვევი № 6. 1505

საქვაჭრობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება, რომ 24/XI, 12 ს. ორთაჭალის სასაფლაოზე დანიშნულია

გაბრიელ შალომის-ძე ელიგულაშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. 1501

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ანა ჯობინაშვილის მეუღლის

აფრიკან სილოვანის-ძე გოგორიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/XI, 6 ს. ყორღანის ქ. № 19. დაკრძალვა 22/XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1502

მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის სახელობის რაიაღმასკომის თანამშრომლები იუწყებიან მთავარ ინჟინრის თ. დ. პიტნავას მამიდაშვილის

ლილი კონსტანტინეს-ასულ ბორისენკოს

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 6½ ს. შაუმიანის ქ. № 53. 1503

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია და პარტბიურო იუწყებიან ამავე ინსტიტუტის თანამშრომელ დავით იაშვილის ძმის

ალექსანდრე იულონის-ძე იაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/XI, 6½ ს. საბჭოს ქ. № 93, დაკრძალვა 22/XI. 1490

თბილისის დერმატო-ვენეროლოგიური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის და ქალაქის მესამე კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან ექიმ ვალერიან იაშვილის ძმის

ალექსანდრე იულონის-ძე იაშვილის

გარდაცვალებას. 1487

მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ სოფიო ავშაროვას დედის

ალექსანდრა სტეფანეს-ასულ ფარსადანოვას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/XI, 6½ ს. გამოსვენება 22/XI, 2 ს. მახაბლის ქ. № 3, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1497

საქ. სსრ ჯანსახკომის კურორტთა მთავარ სამმართველოს თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება, რომ 22/XI ზუსტად 5 ს. ფონში, ქალაქის სასაფლაოზე, დანიშნულია

ვალიკო ტარასის-ძე სალაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 1498

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი იუწყება ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტის

შოთა ნიკოს ძე ქუმსიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/XI, 6 ს. სასამართლოს ქ. № 4, დაკრძალვა სოფ. ორხევში 22/XI. 1500

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11050